**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის**
**სხდომის ოქმი**
**(გაერთიანებული - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიასთან)**
**№5**

**2025 წელი; 19 დეკემბერი; 11:00 სთ;** **ქ. თბილისი**

თავისუფლების მოედანი N2

**სხდომას ესწრებოდნენ:**
**იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:**

ნინო ვარდოსანიძე (თავმჯდომარე)
მარიამ გრიგოლიშვილი
ცოტნე ჩიქვინიძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
ავთანდილ ცინცაძე
ალექსანდრე ასათიანი
ზურაბ ჩიკვილაძე
კახაბერ ლაბუჩიძე
გიორგი გვენეტაძე

**მოწვეული პირები:**

1. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. **ქეთევან კანდელაკიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
4. **მერაბ მაჭავარიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
5. **ოთარ ჩიტიძე** – სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
6. **დავით ჯაიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
7. **გიორგი კობიაშვილი** - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი.

**სხდომის თავმჯდომარე:**

**ნინო ვარდოსანიძე**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

## დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
2. „ქ. თბილისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სტრატეგიის - ნარჩენების მართვის გეგმისა და ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი ჰილ რეზიდენსს“ (ს/ნ: 405680348) შორის 2024 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ №ე-801-1-30561 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „თაბორი ჰილ რეზიდენსის“ გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
4. „ქალაქ თბილისში, რწმენის ქუჩა N30-ში მდებარე N01.19.37.016.233, N01.19.37.016.234, N01.19.37.016.237, N01.19.37.016.238 და N01.19.37.016.239 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ასაშენებელი შენობა-ნაგებობიდან ეტაპობრივად, შესაბამისი პროპორციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადასაცემი, ჯამურად 1000 კვ.მ ფართის ნაწილის (118 კვ.მ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 85 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა ნაგებობა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.432) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 ოქტომბრის N496 განკარგულებაში ცვლილების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
6. „ქ. თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.114) და ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.112) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 23 ოქტომბრის №25.1757.1980 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
7. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
8. „ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
9. ,,ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქ. N 7ბ-ში არსებული N 154 ბინის ( საკადასტრო კოდი: 01.19.20.020.083.01.01.154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

10. „ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი N87ზ-ს მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.13.06.004.132.01.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
11. „ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N41გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029.01.288) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
12. „ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N34-ში, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.032.017) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
13. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ჯემალ ახობაძისთვის (პ/ნ: 01024032994) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
14. „ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქ. N19-ში მდებარე 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.039) 13 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი აი ინოვეიშენისთვის“ (ს/ნ 404702684) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
15. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
16. „ქალაქ თბილისში, ვ. ნინუას ქუჩა N3; კორპუსი N4 (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.097) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით შპს “ლივინ სითი“-ის (ს/ნ 400439094) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
17. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, N73ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.06.019.139, ფართობი - 16 445 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
18. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სანაპიროს ქუჩა, N5; ქალაქი თბილისი, გულიას ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.09.005.174; ფართობი - 4238 კვ. მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
19. „მისამართზე - ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი N 9ა,ბ,გ ს/კ: N01.17.12.003.255 (ამჟამად ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი N 9ა - ს/კ: N01.17.12.003.255; მოსკოვის გამზირი N 9ბ,გ - ს/კ: N01.17.12.003.276) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში შპს „მეტი დეველოპმენტის“ (ს/ნ: 404568384) და მასთან აფილირებული კომპანიების დაზარალებულ პირთა მიმართ თანხის სახით შესასრულებელი ვალდებულებების

შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

გაერთიანებული კომისიის წევრებმა მოისმინეს:

**1. გაიოზ თალაკვაძემ** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით პირველ საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, კერძოდ: **იზრდება გრანტების ნაწილში მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 20,0 ათასი ლარით** (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2025 წლის 19 ნოემბრის MOH 3 25 01322369 წერილი). **შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 2 353 808,4 ათას ლარს.**

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა,** წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

**იზრდება:** გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) – 252,0 ათასი ლარი, გზები მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში - (კოდი 01 01 16) – 420,0 ათასი ლარი, სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02) – 120,0 ათასი ლარი, გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია (კოდი 02 05) პროგრამის ასიგნებები - 855,0 ათასი ლარი, სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა (კოდი 02 06) – 380,0 ათასი ლარი, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) - 5 965,6 ათასი ლარი, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსება (კოდი 06 01 05) – 219,9 ათასი ლარი, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) – 11,0 ათასი ლარი, ტრანსპლანტაცია (კოდი 06 01 13) – 250,0 ათასი ლარი, უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში (კოდი 06 02 06 03) – 5,0 ათასი ლარი, სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი (06 02 09) -1 850,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 16 09) – 140,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 16 14) – 118,6 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 16 16) – 120,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) – 27,2 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) – 186,5 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი: 06 02 18 13) – 88,0 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (კოდი 06 02 22) – 55,0 ათასი ლარი, პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა (კოდი 06 02 27) – 20,0 ათასი ლარი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 2 400,0 ათასი ლარი, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) – 70,0 ათასი ლარი, სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა (კოდი 07 05 03) - 150.0 ათასი ლარი, პანტომიმის სახელმწიფო თეატრი (კოდი 08 01 02) – 19,4 ათასი ლარი, სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი (კოდი 08 01 05) – 14,9 ათასი ლარი, სამეფო უბნის თეატრი (კოდი 08 01 08) – 17,9 ათასი ლარი, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) პროგრამის ასიგნებები - 275,0 ათასი ლარი, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) - 740,0 ათასი ლარი, საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა (კოდი 08 10) – 10,0 ათასი ლარი, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) ქვეპროგრამის

ასიგნებები - 500,7 ათასი ლარი, პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 06 06) – 49,3 ათასი ლარი, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი: 08 08 01) – 468,6 ათასი ლარი, საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა (კოდი 08 10) პროგრამის ასიგნებები – 10,0 ათასი ლარი, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 08 11 06) ქვეპროგრამის ასიგნებები – 15,0 ათასი ლარი, თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი (კოდი 08 12) პროგრამის ასიგნებები - 24,2 ათასი ლარი, სარეზერვო ფონდი (10 22) – 300,0 ათასი ლარი.

**მცირდება:** გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები – 96,2 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) - 3,2 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 01 01 11) – 15,9 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) – 544,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) – 183,6 ათასი ლარი, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01 01) პროგრამის ასიგნებები - 380,0 ათასი ლარი, ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) – 89,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 855,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) – 109,1 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) – 897,1 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) – 100,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) – 149,2 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 02 09 14) – 132,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) – 420,0 ათასი ლარი, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) პროგრამის ასიგნებები - 580,0 ათასი ლარი, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 04 03) – 115,5 ათასი ლარი, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04) – 32,6 ათასი ლარი, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) – 147,7 ათასი ლარი, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი 04 09) – 30,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) – 92,9 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) – 47,2 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) – 211,2 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) – 120,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) – 90,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) – 21,9 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) – 244,0 ათასი ლარი, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება (კოდი 06 01 08) – 80,0 ათასი ლარი, რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 10) – 95,0 ათასი ლარი, კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01) – 350,0 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) – 80,0 ათასი ლარი, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა (კოდი 06 02 03) – 11,0 ათასი ლარი, სერვის ცენტრებში სამგზავრო ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია) (კოდი 06 02 06 04) – 32,9 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 02 08) – 1 137,7 ათასი ლარი, უფასო სასადილოებით მომსახურება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 14 11) – 85,3 ათასი ლარი, უფასო სასადილოებით მომსახურება სამგორის რაიონში (კოდი 06 02 14 13) – 62,2 ათასი ლარი, უფასო სასადილოებით მომსახურება კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 14 14) – 1,2 ათასი ლარი, გარდაცვლილ

მეომართა სარიტუალო ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 15 07) – 6,6 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 15 09) – 3,5 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 15 12) – 3,8 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 15 13) – 1,7 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 15 15) – 7,8 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 15 16) – 5,2 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 16 07) - 12,1 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 16 12) – 4,7 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ისნის რაიონში (კოდი 06 02 16 13) – 81,5 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 16 15) – 4,5 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება გლდანის რაიონში (კოდი 06 02 17 07) – 4,5 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 17 12) – 2,7 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება ისნის რაიონში (კოდი 06 02 17 13) – 4,8 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) – 36,5 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) – 23,6 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი: 06 02 18 14) – 37,4 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) – 31,8 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 16) – 28,6 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება (კოდი 06 02 24) – 52,4 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 25) – 60,0 ათასი ლარი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა (კოდი 06 02 28) – 30,0 ათასი ლარი, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) - პროგრამის ასიგნებები - 122,6 ათასი ლარი, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) ქვეპროგრამის ასიგნებები – 130,0 ათასი ლარი, ფიზიკური დატვირთვების სკრინინგი (კოდი 08 06 08) - 150,0 ათასი ლარი, შემოქმედებითი თბილისი (კოდი 08 09) პროგრამის ასიგნებები - 100,0 ათასი ლარი, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 08 11 08) ქვეპროგრამის ასიგნებები - 20,0 ათასი ლარი, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 08 11 10) – 0,6 ათასი ლარი, მერიის ადმინისტრაციის ხარჯები (კოდი 10 02 01) – 2 105,1 ათასი ლარი, მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) (კოდი 10 23) პროგრამის ასიგნებები – 5 220,9 ათასი ლარი, გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) - 83,3 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (კოდი 10 36) – 100,0 ათასი ლარი.

**მომხსენებლის მითითებით,** ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ფარგლებში, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის მომუშავეთა რიცხოვნობა მცირდება - 1 ერთეულით, ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის (კოდი 07 06 01) მომუშავეთა რიცხოვნობა მცირდება - 6 ერთეულით, ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის (კოდი 08 01 01) მომუშავეთა რიცხოვნობა - 3 ერთეულით, სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრის (კოდი 08 01 05) მომუშავეთა რიცხოვნობა - 1 ერთეულით, ცხოველთა მონიტორინგის (კოდი 09 02) პროგრამის ფარგლებში, სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა - 2 ერთეულით, ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს (კოდი 10 21) მომუშავეთა რიცხოვნობა იზრდება - 9 ერთეულით. **შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში შემცირდა 4 ერთეულით და განისაზღვრა 4945 ერთეულით.**

**მოხსენების მიწურულს, გაიოზა თალაკვაძემ შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის **ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 085 987,8 ათასი ლარის ოდენობით** და **ნაშთის ცვლილება 267 820,6 ათასი ლარით.** ამასთანავე, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 000 987,8 ათასი ლარის ოდენობით, ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 2 353 808,4 ათასი ლარით, ვალდებულებების ცვლილება შეადგენს 33 631,0 ათას ლარს, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 234 189,6 ათასი ლარით. **მომხსენებელმა აქვე დასძინა,** რომ **დადგენილების პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.**

**აზრი გამოთქვეს:**

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** დადგენილების პროექტის პირველ მუხლში „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილების გამოქვეყნების თარიღის სწორად მითითების, ასევე დადგენილების პროექტის მუხლობრივი ნუმერაციის სწორი ფორმით ჩამოყალიბების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

**დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთსმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა მოისმინეს:**

**2. ქეთევან კანდელაკიშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სტრატეგიისა (ხედვა 2040) და 2025-2030 წლების მართვის გეგმის და ქ. თბილისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის (2025-2030 წწ.) დამტკიცებას.**

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა,** საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი" მე-13 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, თითოეული მუნიციპალიტეტი ვალდებულია შეიმუშაოს მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა. ამავე კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და ამ მიზნით მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის დანერგვა და გამართული ფუნქციონირება; ასევე მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირება.

**მომხსენებლის მითითებით,** ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით, ევროკავშირის მუნიციპალური პროექტების მხარდაჭერის ფონდის და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით, ტექნიკური თანამშრომლობის ფონდების პროგრამისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ICP-ENVIROPLAN კონსორციუმს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში

მომზადდა დედაქალაქის ნარჩენების მართვის სტრატეგიის, მართვის გეგმისა და სამოქმედო გეგმის წარმოდგენილი პროექტები.

**ქეთევან კანდელაკიშვილის განმარტებით,** ქ. თბილისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სტრატეგიით (ხედვა 2040), თბილისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სექტორში გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი მიზნების ეტაპობრივი მიღწევა:

- თბილისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის მდგრადი, თვითდაფინანსებადი მოდელის ჩამოყალიბება ცირკულარული ეკონომიკის განვითარების გზით, რაც ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ეკონომიკურ ზრდას;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების პროცენტულობის გაზრდა 80%-მდე 2040 წლამდე;
- სათბურის აირების ემისიების შემცირება და მუნიციპალური ნარჩენებისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ნარჩენების მართვის სისტემის ისეთი ფინანსური და ეკონომიკური მექანიზმების შემუშავება და განხორციელება, რაც უზრუნველყოფს ქალაქის ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების და სამუშაო ადგილების გაჩენას;
- თბილისის ტერიტორიაზე ალტერნატიული ენერგიის წყაროების განვითარება, ნაგავსაყრელზე მოწყობილი გაზშემკრები სისტემის დანადგარიდან ელექტროენერგიის წარმოების გზით.

**მომხსენებელმა აქვე დასძინა,** რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალური ნარჩენების 2025-2030 წლების მართვის გეგმით განსაზღვრულია ის ღონისძიებები, რომლებიც გააუმჯობესებს ნარჩენების მართვის სისტემას და ასევე, უზრუნველყოფს მის ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობას. კერძოდ, გეგმის ძირითადი მიზნებია:

- მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნის პრევენციის ხელშეწყობა;
- მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის ეტაპობრივი დანერგვა;
- მუნიციპალური ნარჩენების აღდგენის სისტემის ეტაპობრივი დანერგვა და ხელშეწყობა;
- ნარჩენების კონტეინერებთან თბილისის მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- მუნიციპალური ნარჩენების (სეპარირებული და შერეული) შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანობისა და ხარჯთეფექტიანობის გაუმჯობესება;
- დიდი ლილოს ნაგავსაყრელის სისტემების რეაბილიტაცია და უჯრედების დახურვა;
- მუნიციპალიტეტის ფარგლებში არსებული სტიქიური ნაგავსაყრელებიდან მოსალოდნელი გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება;
- ნარჩენების მართვის მოსაკრებლის ინსენტივური სისტემის დანერგვა;
- სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენების განთავსების სისტემის მოწესრიგება;
- მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვის პროცესის მხარდაჭერა;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

**როგორც მომხსენებელმა განმარტა,** ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დოკუმენტების დამტკიცების მიზანს წარმოადგენს დედაქალაქში ნარჩენების მართვის ისეთი სისტემის დანერგვა, რომლითაც ეტაპობრივად უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალური ნარჩენების პრევენცია, სეპარირებული შეგროვება, რაც საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტს დაახარისხოს შეგროვებული მუნიციპალური ნარჩენები შემდგომი რეალიზაციის მიზნით. აღნიშნული ღონისძიებები კი ავტომატურად გამოიწვევს ნაგავსაყრელ

პოლიგონზე ნაკლები ნარჩენის განთავსებას, რაც თავის მხრივ გაზრდის ნაგავსაყრელის სიცოცხლისუნარიანობას.

**მოხსენების მიწურულს, ქეთევან კანდელაკიშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული დანახარჯების გაწევას გრძელვადიან (რამდენიმეწლიან (2031 წლამდე)) პერიოდში, ეტაპობრივად. ამასთანავე, დადგენილების პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

**აზრი გამოთქვეს:**

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** დადგენილების პროექტის სათაურის სათანადო რედაქციით ჩამოყალიბებისა და დადგენილების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

**დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**3. გიორგი კობიაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მესამე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი ჰილ რეზიდენსს“ შორის 2024 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ №ე-801-1-30561 ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუქციონის პირობების „გ“ პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის, ამავე ხელშეკრულების მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დაკისრებული, ჯამურად - 44 405,58 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოსგან შპს „თაბორი ჰილ რეზიდენსის“ გათავისუფლების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**მომხსენებლის მითითებით,** ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, აუქციონში გამარჯვებულს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ბერძნის ქუჩა №39-ის მიმდებარედ არსებული 819.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1.

**გიორგი კობიაშვილის განმარტებით,** ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუქციონის პირობების „გ“ პუნქტის თანახმად, აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იყო საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემიდან არაუგვიანეს 5 თვის ვადაში (არაუგვიანეს 2025 წლის 26 მაისისა) უზრუნველეყო არსებული შენობის დემონტაჟი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთანავე, აღნიშნული ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით, დაინტერესებულ პირს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო“) უნდა წარედგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული, საქართველოს კანონმდებლობის

შესაბამისად აკრედიტირებული სხვა აუდიტორული კომპანიის/აუდიტორის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა.

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა,** კომპანიის მიერ, ხელშეკრულების „გ" პუნქტით ნაკისრი ვალდებულება შესრულდა ვადის დარღვევით, კერძოდ, 2025 წლის 26 მაისის ნაცვლად 2025 წლის 21 აგვისტოს, რაც დასტურდება დაინტერესებული მხარის მიერ წარდგენილი სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი დასკვნით.

**მომხსენებელმა აქვე დასძინა,** რომ ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევისათვის, აუქციონში გამარჯვებულს, ხელშეკრულების მე-8 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, 2025 წლის 27 მაისიდან 2025 წლის 21 აგვისტოს ჩათვლით პერიოდზე დაეკისრა პირგასამტეხლო - ჯამურად 44 405,58 ლარის ოდენობით.

**გიორგი კობიაშვილის განმარტებით,** კომპანიის მიერ 2025 წლის 14 ნოემბერს სააგენტოში წარდგენილი წერილობითი განმარტების თანახმად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ვადის დარღვევით შესრულება გამოწვეულ იქნა ობიექტური გარემოებებით. კერძოდ:

- 2025 წლის იანვრის თვის ბოლოს, მესაკუთრის მიერ საპრივატიზებო ქონების პირველადი დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ შენობა უფლების დამდგენი დოკუმენტის გარეშე, არამართლზომიერად იყო დაკავებული მეზობლების მიერ მრავალი წლის განმავლობაში, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ არაერთი ოჯახი იყენებდა სივრცეს როგორც სათავსოს და მასში შესანახად განთავსებული ჰქონდათ პირადი და ღირებული ნივთები;
- კომპანიის დიდი ძალისხმევის შედეგად, აპრილის ბოლოს, მოხერხდა ნივთების მცირე ნაწილის გატანა, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდა ინჟინერის მიერ ტერიტორიის შიგნიდან დათვალიერება და ობიექტის შესწავლა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ნივთების ნაწილი უკვე გატანილი იყო, ძირითადი რაოდენობა მაინც რჩებოდა შენობაში და აფერხებდა დემონტაჟის დაწყებას. საბოლოოდ, აგვისტოში დაიცალა შენობა და რამდენიმე დღეში კომპანიამ განახორციელა სრული დემონტაჟი;
- შესაბამისად, კომპანიამ ითხოვა დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება.

**მოხსენების მიწურულს, გიორგი კობიაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**აზრი გამოთქვეს:**

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** განკარგულების პროექტის სათაურში ტექნიკური ხარვეზის გასწორებისა და განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული

რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**4. გიორგი კობიაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეოთხე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართმადიდებელი ეკლესიის (შემდგომში - „საქართველოს საპატრიარქო") მიერ, მის საკუთრებაში არსებულ, ქალაქ თბილისში, რწმენის ქუჩა N30-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე ასაშენებელი შენობა-ნაგებობიდან გადმოსაცემი ჯამური ფართის (1000 კვ.მ) ნაწილის, 118 კვ.მ ფართის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას, შემდგომში სოციალურ პროგრამებში მონაწილეობის მიზნით.

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 29 ნოემბრის N24.2026.2271 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის N683 განკარგულებებით დამტკიცდა ქალაქ თბილისში, რწმენის ქუჩა N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, რომლის მიხედვითაც დაიგეგმა საცხოვრებელი სახლების აშენება 5 სექტორზე (5 საკადასტრო ერთეულზე) და ამავე განკარგულებებით განისაზღვრა სოციალურ პროგრამებში მონაწილეობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საცხოვრებელი ფართის გადმოცემა ჯამურად 1000 კვ.მ-ის ოდენობით.

**მომხსენებლის მითითებით,** სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივნის 2025 წლის 17 სექტემბრის და 6 ნოემბრის განცხადებებით მოთხოვნილ იქნა საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებაში არსებულ, ზემოაღნიშნულ 5 საკადასტრო ერთეულზე ასაშენებელი შენობა-ნაგებობიდან ფართების ეტაპობრივად, შესაბამისი პროპორციით, ჯამურად 1000 კვ.მ-ის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადმოცემა, სოციალურ პროგრამებში მონაწილეობის მიზნით და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება. ამასთანავე, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ იქნა შესაბამისი ინფორმაცია (სქემა) აღნიშნული ფართების ეტაპობრივად, შესაბამისი პროპორციით გადმოცემის თაობაზე (პირველი ეტაპი - 118 კვ.მ (სექტორი 1); მეორე ეტაპი - 165 კვ.მ (სექტორი 2); მესამე ეტაპი - 107 კვ.მ (სექტორი 5); მეოთხე ეტაპი - 320 კვ.მ (სექტორი 6); მეხუთე ეტაპი - 290 კვ.მ (სექტორი 7)).

**მომხსენებელმა აქვე დასძინა,** რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ 2025 წლის 6 ოქტომბრის წერილით მიზანშეწონილად მიიჩნია, 1000 კვ.მ ფართის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემა ეტაპობრივად, სოციალურ პროგრამებში მონაწილეობის მიზნით.

**მოხსენების მიწურულს, გიორგი კობიაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**აზრი გამოთქვეს:**

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტების, განკარგულების პროექტის პირველი და მე-2 პუნქტების ტექნიკურად გამართვის, ასევე განკარგულების პროექტის დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების

პროექტის მიმართ არსებული ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**5. გიორგი კობიაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეხუთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს:**

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 85 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა ნაგებობა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.432) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 1 ოქტომბრის №25.1646.1848 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და აღნიშნული განკარგულების დანართის** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 85 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა ნაგებობა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.432) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 1 ოქტომბრის №25.1646.1848 განკარგულებაში ცვლილების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 10 დეკემბრის №25.2114.2353 განკარგულების დანართის შესაბამისად ჩამოყალიბების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან;**
- **ცვლილების შეტანას** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 85 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა ნაგებობა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.432) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 ოქტომბრის №496 განკარგულებაში, ზემოაღნიშნული ცვლილების შესაბამისად.**

**როგორც მომხსენებელმა განმარტა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 1 ოქტომბრის №25.1646.1848 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 ოქტომბრის №496 განკარგულებებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ლელა პატიაშვილის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩისა და თამარაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე არსებული 74 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1-ის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 85 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა №1-ის გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

**მომხსენებლის მითითებით,** 2025 წლის 13 ნოემბერს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილობითი განცხადებით მიმართა ლელა პატიაშვილმა და მოითხოვა ხელშეკრულებაში ცალკეული დამაზუსტებელი ხასიათის ცვლილებების შეტანა, რამაც განაპირობა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შემუშავება.

**მოხსენების მიწურულს, გიორგი კობიაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია წინამდებარე პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**აზრი გამოთქვეს:**

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** განკარგულების პროექტის სათაურის სათანადო რედაქციით ჩამოყალიბების, განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტების, განკარგულების პროექტის პირველი და მე-2 პუნქტების ტექნიკურად გამართვის, მე-3 პუნქტის ამოღების, ხოლო მე-4 პუნქტის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**6. გიორგი კობიაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეექვსე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს:**

- ,,ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.114) და ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.112) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 23 ოქტომბრის №25.1757.1980 განკარგულების დანართი 1-ში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან;**
- **ცვლილების შეტანას** ,,ქ. თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.13.015.114) და ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.13.015.112) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 ოქტომბრის №495 განკარგულებაში, ზემოაღნიშნული ცვლილების შესაბამისად.**

**მომხსენებლის განმარტებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 23 ოქტომბრის №25.1757.1980 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 ოქტომბრის №495 განკარგულებების გამოცემის შემდეგ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის აღნიშნული განკარგულების დანართი 1-ში 22-ე ნომრად

მითითებულმა პირმა - გელა ბიტარიშვილმა, 2025 წლის პირველ დეკემბერს თავისი მოთხოვნის უფლებები, მათ შორის მითითებული განკარგულებებით განსაზღვრული საცხოვრებელი ფართის მიღების უფლება, სრულად დაუთმო ილია ბიტარიშვილს ცესიის/მოთხოვნის უფლების დათმობის ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 23 ოქტომბრის № 25.1757.1980 განკარგულებაში და საცხოვრებელი ფართის მიმღებ პირად განისაზღვრა ილია ბიტარიშვილი.

**მოხსენების მიწურულს, გიორგი კობიაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია წინამდებარე პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**აზრი გამოთქვეს:**

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** განკარგულების პროექტის სათაურისა და მე-2 პუნქტის სათანადო რედაქციით ჩამოყალიბების, ასევე განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

7. **გიორგი კობიაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეშვიდე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში მდებარე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათ უფლებამონაცვლეებისთვის, კერძოდ, **კობა სულაკაძისთვის 40.21 კვ.მ, გურამ გამეზარდაშვილისთვის 47.09 კვ.მ, დავით კოსტავასთვის 39.57 კვ.მ, მანანა მანჯგალაძისთვის 48.44 კვ.მ და ნანა ქიტიაშვილისთვის 88.94 კვ.მ ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილსის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა,** განკარგულების პროექტის დანართით წარმოდგენილი პირები არიან ყოფილი N620 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრები/მათი უფლებამონაცვლეები, რომელთა წინაშეც სახელმწიფოს საშინაო ვალი აქვს აღიარებული, ხოლო ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს იმ მიწის ნაკვეთს, რომელიც ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1987 წლის 13 აგვისტოს N20.47.512 გადაწყვეტილების მიხედვით, გამოყოფილი იყო N620 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივისთვის. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლები აშენებულია და მასში ფაქტობრივად ცხოვრობენ ამავე კოოპერატივის წევრების/მათი უფლებამონაცვლეების ნაწილი. აღნიშნული კოოპერატივის წევრთა ნაწილი, სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ გადაანაწილა სხვადასხვა პროექტებში და დღეის მდგომარეობით, უძრავი

ქონებით უზრუნველყოფის გარეშე დარჩენილნი არიან ის პირები, ვისაც ფაქტობრივად ზემოაღნიშნულ მისამართზე აქვთ დაკავებული საცხოვრებელი ფართები, რომლებიც N620 კოოპერატივის წევრებისთვის იყოს გამოყოფილი.

**მომხსენებლის განმარტებით,** ზემოაღნიშნულ ფაქტობრივი გარემოებები დადასტურებულია აღნიშნული კოოპერატივის უფლებამონაცვლე ამხანაგობის - „ნუცუბიძის პლატო 620"-ის თავმჯდომარის - ირინა გეგეჭკორის 2022 წლის 14 მარტის განცხადებითაც. შესაბამისად, აღნიშნული პირებისთვის მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემით, მუნიციპალიტეტის ვალდებულება აღნიშნული კოოპერატივის წინაშე შესრულებული იქნება, ვინაიდან, ზემოაღნიშნულ ფართებზე მათ საკუთრების უფლება გადაეცემათ მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ.

**მოხსენების მიწურულს, გიორგი კობიაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**აზრი გამოთქვეს:**

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის და „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულების მითითების, ასევე განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**8. გიორგი კობიაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მერვე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი N7-ში მდებარე უძრავი ქონების (ჯამურად - 112.99 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,** მოქალაქე გია არღვლიანისთვის, ზურაბ ბოკერიასთვის, რუსუდან ბიწაძისთვის, ზაირა სანაიასთვის, გურამი ახალაიასა და ნათია მშვიდობაძისთვის **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**მომხსენებლის განმარტებით,** ზემოაღნიშნული უძრავი ქონებ(ებ)ის სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირებმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართეს ისნის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის №XI სამმართველოს წერილობით ინფორმაციაზე დაყრდნობით, დაინტერესებული პირები ოჯახებთან ერთად 2017 წლიდან დღემდე ნამდვილად ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული წერილებით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

**გიორგი კობიაშვილმა დასკვნის სახით აღნიშნა,** რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონებების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით გადაცემის საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**გადაწყვიტეს:**

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**9. გიორგი კობიაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეცხრე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N7ბ-ში მდებარე, 79.80 კვ.მ ფართობის N154 ბინის პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე ლაშა მაისურაძისთვის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**მომხსენებლის განმარტებით,** დაინტერესებულმა პირმა 2025 წლის 25 ნოემბრის განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ითხოვა ზემოაღნიშნული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა, ქალაქ თბილისში, მ. ალექსიძის ქუჩა N7-ის მიმდებარედ, მის მიერ ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონების სანაცვლოდ, ვინაიდან მისთვის ცნობილი გახდა, ხსენებულ მისამართზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა,** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი სამმართველოსა და საბურთალოს რაიონის გამგეობის საუბნო განყოფილების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაინტერესებული პირი ოჯახთან ერთად 1996-1997 წლებიდან ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე.

**მომხსენებელმა აქვე დასძინა,** რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

**მოხსენების მიწურულს, გიორგი კობიაშვილმა დასკვნის სახით აღნიშნა,** რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონებების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით გადაცემის საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**აზრი გამოთქვეს:**

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** განკარგულების პროექტის პირველი და მე-2 პუნქტების სათანადო რედაქციით ჩამოყალიბების, ასევე განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**10. გიორგი კობიაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეათე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი N87ზ-ს მიმდებარე ტერიტორიაზე პირველ სართულზე არსებული 38.51 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე ნიკოლოზ ჭყოიძისთვის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**როგორც მომხსენებელმა განმარტა,** ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა დიდუბის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს პოლიციის II სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს დაახლოებით 2012 წლიდან. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული წერილით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

**მოხსენების მიწურულს, გიორგი კობიაშვილმა დასკვნის სახით აღნიშნა,** რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონებების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ

ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით გადაცემის საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**აზრი გამოთქვეს:**

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**11. გიორგი კობიაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთერთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N41გ-ში, პირველ სართულზე არსებული 74.78 კვ.მ ფართობის N288 ბინის პირდაპირი განკარგვის ფორმით, მოქალაქე ხვიჩა ჯანხოთელისათვის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**მომხსენებლის განმარტებით,** ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა საბურთალოს რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს დაახლოებით 2002 წლიდან. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება საბურთალოს რაიონის გამგეობის საუბნო შემოწმების აქტითა და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული წერილით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

**მოხსენების მიწურულს, გიორგი კობიაშვილმა დასკვნის სახით აღნიშნა,** რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონებების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით გადაცემის საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**აზრი გამოთქვეს:**

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

12. **გიორგი კობიაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთორმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N34-ში, კორპუსი N1-ში არსებული უძრავი ქონების (ჯამურად - 117.05 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,** მოქალაქე ეკატერინე ბადოევისა და ნინო გაფრინდაშვილისთვის **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**მომხსენებლის განმარტებით,** ზემოაღნიშნული უძრავი ქონებ(ებ)ის სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირებმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართეს ნაძალადევის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს პოლიციის IX სამმართველოს წერილობით ინფორმაციაზე დაყრდნობით, დაინტერესებული პირები ოჯახებთან ერთად 2012 წლიდან დღემდე ნამდვილად ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება ნაძალადევის რაიონის გამგეობის საუბნო შემოწმების აქტებითა და ნოტარიულად დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ერთობის" კრების ოქმით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირებისა და მათი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

**გიორგი კობიაშვილმა დასკვნის სახით აღნიშნა,** რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონებების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით გადაცემის საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**გადაწყვიტეს:**

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**13. გიორგი კობიაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეცამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, მოქალაქე ჯემალ ახობაძისთვის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**როგორც მომხსენებელმა განმარტა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოსა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციების თანახმად, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის **საკითხს მიეცა დადებითი შეფასება, იმ პირობით, რომ შენარჩუნდება 5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე, ხოლო, ობიექტის შემადგენელი ინვენტარი განთავსება 5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/ საქვეითე სივრცის მიღმა. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსდება მხოლოდ მსუბუქი მაგიდა და სკამები, ყოველგვარი შემომზღუდავი ელემენტების გარეშე.**

**მომხსენებელმა აქვე დასძინა,** სსიპ - სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 27 ოქტომბრის ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ზემოაღნიშნული უძრავი ოქნების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა 2025 წლის 27 ოქტომბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 3 360 ლარის ოდენობით.

**მოხსენების მიწურულს, გიორგი კობიაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3 360 ლარი.

**აზრი გამოთქვეს:**

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გადასაცემი უძრავი ქონების მიზნობრიობის მითითებისა და მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**14. გიორგი კობიაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთოთხმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქ. N19-ში მდებარე 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 13 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, ღია კაფეს**

**მოწყობის მიზნით, შპს „ჯი აი ინოვეიშენისთვის“ იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**როგორც მომხსენებელმა განმარტა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოსა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციების თანახმად, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის **საკითხს მიეცა დადებითი შეფასება, იმ პირობით, რომ შენარჩუნდება 3,5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე, ხოლო, ობიექტის შემადგენელი ინვენტარი გაჩოავსება 3,5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცის მიღმა. ასევე, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსდება მხოლოდ მსუბუქი მაგიდა და სკამები, ყოველგვარი შემომზღუდავი ელემენტების, სტაციონარული ქოლგების გარეშე.**

**მომხსენებელმა აქვე დასძინა,** სსიპ - სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 30 ივლისის ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ზემოაღნიშნული უძრავი ოქნების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა 2025 წლის 30 ივლისის მდგომარეობით მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 3 900 ლარის ოდენობით.

**მოხსენების მიწურულს, გიორგი კობიაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 2 წელი;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3 900 ლარი.

**აზრი გამოთქვეს:**

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გადასაცემი უძრავი ქონების მიზნობრიობის მითითებისა და მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**15. დავით ჯაიანმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთხუთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულებაში ცვლილების შეტანას.**

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა,** ცვლილება შედის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიებების ვადებში და მოიცავს 2023 წლის პირველი ივლისიდან 2026 წლის პირველ იანვრამდე პერიოდს.

**მომხსენებლის განმარტებით,** ცვლილება შეეხებათ იმ პირებს, რომელთა მიმართ 2023 წლის პირველი ივლისიდან 2026 წლის პირველ იანვრამდე შედგენილია/შედგენილი იქნება ელექტრონული საჯარიმო ქვითრები, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისათვის და ამ ელექტრონულის საჯარიმო ქვითრით განსაზღვრული ჯარიმა ან/და ჯარიმის გადაუხდელობის გამო დარიცხული საურავი გადახდილი აქვთ/ექნებათ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სახაზინო კოდზე, ამასთანავე, ფიქსირდება/დაფიქსირდება სამართალდამრღვევის მონაცემები (სახელი, გვარი და პირადი ნომერი), თუმცა არ აქვთ/ექნებათ მითითებული ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნომერი, ჩაეთვლებათ გადახდილად და მათ მიმართ აღარ განხორციელდება/აღარ გაგრძელდება გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

**მოხსენების მიწურულს, დავით ჯაიანმა დასკვნის სახით აღნიშნა,** რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია წინამდებარე პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**გადაწყვიტეს:**

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**16. ოთარ ჩიტიძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთექვსმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, ვ. ნინუას ქუჩა N3; კორპუსი N4-ში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა,** საპროექტო უძრავი ქონების დაზიანებები სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 31 ივლისის დასკვნის თანახმად, IV ხარისხისაა, არსებული დაზიანებები გამოწვეულია ფუძე-საძირკვლის არათანაბარი ჯდენითი დეფორმაციებით, ტექნიკური მოუვლელობითა და მნიშვნელოვანი ასაკობრივი ცვეთით. აუცილებელია შენობის დაუყოვნებლივი დემონტაჟი და მოსახლეობის გაყვანა.

**ოთარ ჩიტიძის განმარტებით,** დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილ იქნა შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებას 4.6-დან 9.4-მდე;
- სატრანსპორტო ზეგავლენის შეფასებისგან გათავისუფლებას;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს შენობა-ნაგებობის განთავსების რეგულაციის დაცვის გარეშე; მიჯნის ზონის რეგულაციის დაცვის გარეშე; სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- მიწის ნაკვეთს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისთვის დაუდგინდეს ინდივიდუალური პარამეტრები;
- საპროექტო მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი და კომერციული ფუნქციების ცვლილება განისაზღვროს შემდეგი სახით: საცხოვრებელი ფუნქცია - 95%, ხოლო საოფისე/კომერციული ფუნქცია - 5%.

**მომხსენებლის მითითებით,** დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა-2 (სსზ-2). თუმცა, ვინაიდან აღნიშნული მიწის ნაკვეთი ვერ აკმაყოფილებს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ისთვის (სსზ-2) კანონმდებლობით დადგენილ მინიმალურ პარამეტრს (სიღრმე), წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება საჭიროებს დამატებით ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებას, რაც გულისხმობს ნაკვეთისთვის ინდივიდუალური პარამეტრების მინიჭებას.

**მომხსენებელმა აქვე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც,** რომ ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობაში კუთვნილი ფართების სანაცვლოდ, ახალ შენობა-ნაგებობაში საკუთრებაში გადაეცემა არანაკლებ 479.1 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი, უპირატესად: 40 კვ.მ-დან 70 კვ.მ-მდე, რაც მშენებლობის განმახორციელებელი კომპანიის მიერ განშლის ეტაპზე უნდა შეთანხმდეს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან. ამასთანავე, ახალი შენობა-ნაგებობის გეგმარებიდან გამომდინარე, გაზრდილი ჯამური ფართი მუნიციპალიტეტს გადაეცემა უსასყიდლოდ.

**აზრი გამოთქვეს:**

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** განკარგულების პროექტის სათაურის სათანადო რედაქციით ჩამოყალიბების, ასევე განკარგულების პროექტის პრეამბულაში, პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებში ტექნიკური ხასიათის ხარვეზების გასწორების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**17. ოთარ ჩიტიძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეჩვიდმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი**

**თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, N73ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 16 445 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა,** სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3.4-დან კ-2=4.2-მდე, რაც გულისხმობს A ბლოკზე 2 (ორი) სართულის დამატებას, C ბლოკზე 1 (ერთი) სართულის დამატებას, D ბლოკზე 2 (ორი) სართულის დამატებას და შემდეგი სართულიანობის შენობა-ნაგებობების განთავსებას: A ბლოკი - 10 სართული; C ბლოკი - 25 სართული და D ბლოკი - 20 სართული. ამასთან, საპროექტო წინადადებით B ბლოკზე 33 სართულის ნაცვლად გათვალისწინებულია 32 სართული. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

**ოთარ ჩიტიძის განმარტებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 9 ივლისის №24.1203.1355 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის №344 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (კ-2=3.4), რომლითაც საპროექტო ფუნქციურ ზონირებად გათვალისწინებულია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), ხოლო გამწვანებული ტერიტორიების რუკით, მცირე ნაწილზე - ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება. ამავე განკარგულების თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებულია 4 (ოთხი) შენობა-ნაგებობის განთავსება (მაქსიმალური სიმაღლე: 33 მიწისზედა სართული).

**მომხსენებლის მითითებით,** სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 23 606 880 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 25 ნოემბრის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 3.4-დან 4.2-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 5 554 560 ლარს.

**მოხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიძემ შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=3.4-დან კ-2=4.2-მდე, რაც გულისხმობს A ბლოკზე 2 (ორი) სართულის დამატებას, C ბლოკზე 1 (ერთი) სართულის დამატებას, D ბლოკზე 2 (ორი) სართულის დამატებას და შემდეგი სართულიანობის შენობა-ნაგებობების განთავსებას: A ბლოკი - 10 სართული; C ბლოკი - 25 სართული და D ბლოკი - 20 სართული. ამასთან, საპროექტო წინადადებით B ბლოკზე 33 სართულის ნაცვლად გათვალისწინებულია 32 სართული;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა ხდება გადამეტებულ ფართზე სიმაღლესა და სართულიანობასთან დაკავშირებული რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში

არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 5 554 560 ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;

- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა;
- იმ შემთხვევაში, თუ ნაწარმოებია მშენებლობა, დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის აღებამდე უნდა წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებელი იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე;
- განკარგულების პროექტის თანახმად, ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

**აზრი გამოთქვეს:**

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** განკარგულების პროექტის პრეამბულაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 3 დეკემბრის N25.2021.2272 განკარგულების სათაურის სწორად მითითების, ასევე განკარგულების პროექტის მე-6 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**18. ოთარ ჩიტიძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთვრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სანაპიროს ქუჩა, N5; ქალაქი თბილისი, გულიას ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 4238 კვ. მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**მომხსენებლის განმარტებით,** სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=6.0-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე 5 (ხუთი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 29 (ოცდაცხრა) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

**როგორც ოთარ ჩიტიძემ აღნიშნა,** „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთის ძირითად ნაწილზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-2 (სსზ-2), მცირე ნაწილზე - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება.

**მომხსენებელმა აქვე დასძინა,** რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 25 აგვისტოს ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის განთავსებისთვის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)-ის პარამეტრებით (კ-2=4.6).

**მომხსენებლისვე მითითებით,** სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 23 ოქტომბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 6 984 224 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 16 დეკემბრის წერილის თანახმად, მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 4.6-დან 6.0-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 2,125,633.40 ლარს.

**მოხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიძემ შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=6.0-მდე, რაც გულისხმობს 5 (ხუთი) სართულის დამატებასა და 29 (ოცდაცხრა) სართულიანი შენობის განთავსებას;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 2,125,633.40 ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას;
- იმ შემთხვევაში, თუ ნაწარმოებია მშენებლობა, დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებელი იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე.

- განკარგულების პროექტის თანახმად, ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

**აზრი გამოთქვეს:**

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტსა და მე-6 პუნქტში ტექნიკური ხასიათის ხარვეზების გასწორების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**19. ნინო ვარდოსანიძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეცხრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **მისამართზე - ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი N9ა,ბ,გ (ამჟამად ქ. თბილისი მოსკოვის გამზირი N9ა; მოსკოვის გამზირი N9ბ,გ) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში შპს „მეტი დეველოპმენტის" და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ დაზარალებულ პირთა მიმართ არსებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, ხელშემწყობი ღონისძიებების სახით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 17 დეკემბრის N25.2176.2449 განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრული პირებისათვის, თბილისის პროკურატურის მიერ დადგენილი და ამავე დანართით განსაზღვრული ოდენობით თანხის სახით კომპენსაციის გაცემის საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**კომისიის თავმჯდომარის განმარტებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2025 წლის 23 სექტემბრის N397 განკარგულებით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლის შესაბამისად, შპს „მეტი დეველოპმენტის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაზარალებულ პირთა განცხადებების გათვალისწინებით, დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსი მიანიჭა მისამართზე - ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი N9ა,ბ,გ არსებულ სამშენებლო ობიექტს, რომლის საფუძველზეც დაზარალებულ პირთა ნაწილის მიმართ (ვინც წარმოადგინა სათანადო, სრულყოფილი დოკუმენტაცია) უკვე განხორციელდა თანხის სახით კომპენსაცია.

**როგორც ნინო ვარდოსანიძემ აღნიშნა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიას თანხის სახით კომპენსაციის მიღების მიზნით განცხადებით და ნოტარიული წესით დამოწმებული თანხმობით დამატებით 46 დაზარალებულმა პირმა მიმართა, რომლებიც უარს აცხადებენ რაიმე მოთხოვნაზე, როგორც შპს „მეტი დეველოპმენტის" და მასთან აფილირებული კომპანიების, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ, თუ მათ

მიმართ ვალდებულება შესრულდება თანხის სახით, იმ ოდენობით, რაც დადგენილია და/ან დაზუსტებულია თბილისის პროკურატურის მიერ.

**მომხსენებლის მითითებით,** ზემოაღნიშნულ დაზარალებულ პირთა მიმართ თანხის სახით გასაცემი ვალდებულებების ჯამური ოდენობა შეადგენს 835 305.07 ლარს და 490 235.40 აშშ დოლარს.

**მოხსენების მიწურულს, ნინო ვარდოსანიძემ შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ ყოველივე ზემოაღნიშნულისა და კომისიის დადებითი რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია წინამდებარე საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**აზრი გამოთქვეს:**

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** განკარგულების პროექტის სათაურის, პირველი პუნქტის პრეამბულის, „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის, ასევე განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 17 დეკემბრის N25.2176.2449 განკარგულების სათაურის სწორად მითითების რეკომენდაციებზე.

**იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია** თბილისის პროკურატურის 2024 წლის 31 ოქტომბრის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების და 2025 წლის 7 ნოემბრის №13/01-80409 წერილით წარმოდგენილი ინფორმაციის, ასევე წინამდებარე განკარგულების დანართი N1-ის N19 პუნქტით გათვალისწინებული პირის - ვასილი ყაზარაშვილის 2025 წლის 19 სექტემბრის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობის განცხადების შესაბამისად, განკარგულების დანართი N1-ში სწორად მიეთითოს აღნიშნული დაინტერესებული პირისათვის კომპენსაციის სახით გასაცემი თანხის ვალუტა და 34 400 აშშ დოლარის ნაცვლად განისაზღვროს 34 400 ლარი.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით, კომისიამ ასევე მიზანშეწონილად მიიჩნია ამავე განკარგულების დანართი N1-ში სწორად მიეთითოს თანხის სახით გასაცემი ვალდებულებების ჯამი.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.**

**სხდომის თავმჯდომარე** ნ. ვარდოსანიძე **ნინო ვარდოსანიძე**

**სხდომის მდივანი** ნ. დანელიშვილი **ნინო დანელიშვილი**